

ცნობა

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა არაუგვიანეს 2017 წლის 28 თებერვალი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2017 წლის 23 თებერვლამდე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული. (პასუხისმგებელი პირი ზაზა შოშიტაიშვილი).

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2017 წლის --- თებერვალი
ქ. ოზურგეთი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1 . „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში (www.matsne.gov.ge, 07/08/2014, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.171.016002) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დებულების 10-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი.

„ლ) სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახური“.

2. დებულების 11-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მერიის სამსახურების საქმისწარმოების უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვა; მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მერიის წარმომადგენლების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა; მერიის ურთიერთობის ორგანიზება მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, აგრეთვე მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; მერიის თანამდებობის პირების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მათი მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება; მუციციპალიტეტის კანონიერი ინტერესების (მინდობილობის ფარგლებში) დაცვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად“.

3. დებულების 11-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ (პრიმა) პუნქტი:

„7¹. სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა

განხორციელება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჯანდაცვის ობიექტებთან თანამშრომლობა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მომზადება, ასევე მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გელა კობალაძე